საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/52

ქ. ბათუმი **18 თებერვალი, 2022 წ.**

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2021-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ოქტომბრის N01-02/167 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2021-2022** სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრისათვის** განისაზღვროს **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდისათვის) **შემდეგი ვადები:**

ა) I ეტაპზე - 2022 წლის 14 მარტიდან (სწავლის დაწყება გაზაფხულის სემესტრში) **28 მარტის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%;**
ბ) II ეტაპზე – 2022 წლის 10 მაისის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**
გ) III ეტაპზე – 2022 წლის 25 ივნისამდე - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%.**

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის

დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს.

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**